

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით, მიმდინარე წლის 3 მაისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრის ოქმს N2.

დანართი: ოქმი N2-4(ოთხი) ფურცელი

პატივისცემით

ნუნუ სულაკაძე

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
საორგანიზაციო განყოფილება

მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი N2

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 03.05.2018 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე და ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი სპარტაკ კვაჭაძე, მერის წარმომადგენელი ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ვასილ ბურძღლა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლანჩხუთის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი გელა ზენაიშვილი, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნიკოლოზ კოზანაშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო მშვიდლობაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ, მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა და ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, სპარტაკ კვაჭაძემ მადლობა გადაუხადეს ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მათ გამოიხატეს დრო მათთან შესახვედრად.

ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, **სპარტაკ კვაჭაძე** მიესალმა მოწვეულ სტუმრებს და ადგილობრივ მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

როგორც შეხვედრაზე გამოიკვეთა, ჯურუყვეთის ადგილობრივი მოსახლეობის საერთო პრობლემას აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი წარმოადგენს. საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლანჩხუთის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა, **გელა ზენაიშვილმა**, რის შემდეგაც მოსახლეობას დაურიგდა შესაბამისი ბროშურები და ბუკლეტები.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში მასიურად მოხდება ბრძოლა აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ, ყველგან დამონტაჟდება სატყუარები, სოფლებში

მიწოდებულია ინფორმაცია „ფერომონი“-ს შესახებ. ასევე, არის სკაუტი მანქანები, რომლებიც ინტენსიურად ივლიან და განახორციელებენ შეწამვლებს. მუნიციპალიტეტში წელს მობილიზებულია 5 მანქანა და 2 ტრაქტორი. მერის წარმომადგენლების მიერ მოხდება მოსახლეობის გაფრთხილება შეწამვლის სამუშაოების ჩატარების შესახებ 24 საათით ადრე.

მოქალაქემ, **გიგლა კვაჭაძემ** აღნიშნა, რომ საყანე ფართობებში აუცილებელია სამელიორაციო სამუშაოების ჩატარება.

მერის წარმომადგენელმა ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, **ვასილ ბურძღლამ** აღნიშნა, რომ მელიორაციის სამსახურის წარმომადგენლებმა მოიტანეს დადგენილება, რომლის მიხედვით მიმდინარე წელს მომზადდება პროექტი, ხოლო მომავალ წელს განხორციელდება სამელიორაციო სამუშაოები. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას გაუფორმებენ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე მოსახლეობამ ყოველწლიურად 1 ჰა ფართობზე უნდა გადაიხადოს 40 ლარი, რაც ნამდვილად მძიმე ტვირთად დააწვება გლეხებს. საერთო ჯამში საუბარია 60 ჰა ფართობზე.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ერთჯერადად სამელიორაციო სამუშაოების ჩატარება შედეგს ვერ გამოიღებს. აუცილებლად შეისწავლიან მდგომარეობას და შესაძლებლობიდან გამომდინარე გაკეთდება ყველაფერი.

მოქალაქემ, **იზო მურვანიძემ** აღნიშნა, რომ მის სახლს ესაჭიროება სახურავის შეკეთება. მეუღლე და შვილი გარდაცვლილი ყავს. მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროს პენსია წარმოადგენს. ამასთან, ერთი თირკმელი არ აქვს, რის გამოც ექმნება ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები. წლების განმავლობაში არაერთგზის აქვს დაწერილი განცხადება დახმარების თაობაზე, მაგრამ ამაოდ.

მერის წარმომადგენელმა, ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში **ვასილ ბურძღლამ** აღნიშნა, რომ ამ მოქალაქესთან დაკავშირებით გასწია შესაბამისი შუამდგომლობა, ასევე სოციალურ სააგენტოში წარდგენილ იქნა ფორმა 100, მაგრამ იზო მურვანიძეს ქულები, პირიქით მოუმატეს და სოციალური დახმარება მაინც არ დაენიშნა.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ ეს ქალბატონი შეიძლება ჩაერთოს მედიკამენტებით დახმარების პროგრამაში. კერძოდ, რასაც არ დააფინანსებს სახელმწიფო, მედიკამენტების შესაძენად გაეწევა 150 ლარის დახმარება. ამისთვის მას დაჭირდება ფორმა 100, რომელშიც მითითებული იქნება კონკრეტული მედიკამენტის აუცილებლობა და ნებისმიერი აფთიაქიდან ანგარიშფაქტურა.

მოქალაქე, **ისაკი კვიციანი**, რომელიც 11 წელია არის ბრმა, ესაჭიროება დახმარება სახლის სახურავის შეცვლასთან დაკავშირებით. მან თხოვნით მიმართა ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ადგილზე ენახათ, თუ როგორ მძიმე პირობებში უწევს ცხოვრება. მის მეუღლესაც აქვს ჯანმრთელობის პრობლემა. მათ ასევე, ესაჭიროებათ დახმარება სოციალური კუთხით.

მოქალაქემ, **ნინა მუკბანიანმა** აღნიშნა, რომ სოფელში მწვავედ დგას წყლის პრობლემა, ასევე მოსაწესრიგებელია როგორც შიდა, ასევე სასაფლაოსთან მისასვლელი გზა. გარდა ამისა, შესალობია სოფლის საძოვარი.

მერის წარმომადგენელმა, ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში **ვასილ ბურძგლამ** აღნიშნა, რომ წყლის რეაბილიტაცია ამ ეტაპზე მოხდება 4 უბანში და ეს პრობლემა მოეხსნება 245 ოჯახს. სულ კი წყლით უზრუნველსაყოფია 750 ოჯახი.

მოქალაქემ, **რეზო მურვანიძემ** აღნიშნა, რომ დაზიანებულია ხიდი, რომელიც არის 150 წლის.

მოქალაქემ, **გურამ მგელაძემ** დახმარება ითხოვა საყანე ფართობების შეღობვასთან დაკავშირებით. ასევე პრობლემები ექმნებათ საშემე მერქნის და ხის სამშენებლო მასალის დამზადებაზე. მან აღნიშნა, რომ ავტობანის მშენებლობისას წაიღეს სოფლის საბალახო. მოსახლეობა ითხოვს კომპანიამ შემოღობოს ახალი საძოვარი.

მოქალაქემ, **ლამარა გოგუამ** თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომ „გოგუების“ უბნიდან დაინიშნოს ავტობუსის 1-2 რეისი. მან ასევე აღნიშნა, რომ ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ გადიოდა საქონლის გადასადენი გზა, რომელიც შეიღობა ამ სადგურის მეპატრონეების მიერ. მოსახლეობა ფაქტიურად გზის გარეშე დარჩა.

მერის წარმომადგენელმა, ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში **ვასილ ბურძგლამ** აღნიშნა, რომ ავტოგასამართი სადგურის მეპატრონეებმა გადაწიეს ღობე, ადგილი აღარ დატოვეს და მოსახლეობა დარჩა საქონლის გადასარევი გზის გარეშე. შემოვიდა კოლექტიური წერილი, რომელსაც ხელს აწერს 30 ადამიანი. მან ამის შესახებ მოხსენებითი ბარათით მიმართა მაშინდელ ხელისუფლებას. ზედამხედველობის სამსახურს დაევალა საკითხის შესწავლა. აღმოჩნდა, რომ ეს ტერიტორია მათ საჯარო რეესტრში არ აქვთ დარეგისტრირებული.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ გაერკვევა სიტუაციაში. ავტოგასამართი სადგურის მესაკუთრეებს თუ არ აქვთ დარეგისტრირებული ეს ტერიტორია, შესაბამისად, დაჯარიმდებიან.

მოქალაქემ, **მადონა პაპავამ** აღნიშნა, რომ მისი სახლის მიმდებარედ გაკეთდა გაბიონი, რომელიც ჩავარდა. გზა გადაფერდებული და ვიწროა. არ არის გარე განათება, რის შედეგად აღნიშნულ ადგილზე რამდენიმე ადამიანი გადავარდა.

ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, სპარტაკ კვაჭაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ბესიკ ტაბიძესთან და მუნიციპალიტეტის მერთან, ალექსანდრე სარიშვილთან ერთად მოსახლეობას შეძლებისდაგვარად დახმარებას და რიგი პრობლემების მოგვარებას დაპირდა. ამის შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების უფროსებთან ერთად ადგილზე მოინახულეს სოფლის ის ობიექტები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად საჭიროებენ რეაბილიტაცია-აღდგენას.

სოფელ ბაღლებში მეწყერის შედეგად ჩამოშლილია გორა და საავტომობილო გზის რამდენიმე მეტრიანი მონაკვეთი, ფაქტიურად აღარ არსებობს. მოწყვეტილია 4 ოჯახი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ გამოყოფილია 30000 ლარი და კეთდება შემოვლითი გზა.

მოქალაქე, ზურაბ მახარაძის სახლთან გასაკეთებელია მისასვლელი ხიდი.

მოქალაქე, ნელი დობორჯგინიძის საცხოვრებელი სახლი და ეზო დაზიანებულია მეწყერის შედეგად.

ჯურუყვეთის საბავშვო ბაღის ეზოს ესაჭიროება ორი მხრიდან შემოღობვა, ასევე ჭიშკართან მისასვლელი გადასასვლელი ხიდის და ორი სახანძრო კიბის გაკეთება.

კომპანია „ტოდინის“ მიერ ამაღლდა ტერიტორია და გაკეთდა შემოვლითი გზა, რის შედეგადაც საქონლის გადარეკვა საბალახოზე თითქმის შეუძლებელია, განსაკუთრებით წვიმიან ამინდში. მოსახლეობა ითხოვს სანიაღვრე არხზე გადასასვლელის გაკეთებას.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ადგილზე დაათვალიერეს მოქალაქე, ისაკი კვიციანიას სახლი, ასევე სოფელ ჭინათის საზღვართან ჩატარებული ნაპირსამაგრი სამუშაოები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



ბესიკ ტაბიძე